ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6935124

ნომერი: AR11011064

თარიღი : 17.01.2024

გაცემის თარიღი : 15.03.2024

გაცნობის თარიღი : 15.03.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , III და IV მიკრო-რაიონებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მინური აბულაძე პ/ნ 61009000931
- ხულო ს. შურმული მე–4 I ჩიხი N 5

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 17 იანვარს №AR11011064 განცხადებით მომართა მინური აბულაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023 წლის 20

ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებით, №01.10.07.007.104 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის („ც“ ბლოკი) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის №6824455 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა.
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, კერძოდ, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის 476.85 კვ.მ. ფართობის დაფიქსირება. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან სასაწყობე ფართობის ამოღება. ხოლო, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად 6515.02 კვ.მ-ის ნაცვლად 6514.98 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1075.75 კვ.მ-ის ნაცვლად 1082.18 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 63.66 კვ.მ-ის ნაცვლად 684.14 კვ.მ-ის და ავტოსადგომის ფართობად 780.11 კვ.მ-ის ნაცვლად 770.25 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმები და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გასწორება გამოიწვევს მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის დაზუსტებასაც და 10575.61 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 10879.06 კვ.მ-ს. ამასთან, შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ არქიტექტურულ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ღია ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 476.85 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნეს სასაწყობე 313.56 კვ.მ. ფართობი. აგრეთვე, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 6514.98 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1082.18 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 684.14 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 770.25 კვ.მ., საერთო ფართობად 10879.06 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებით შეთანხმებული გენ-გეგმა და არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გენ-გეგმითა და არქიტექტურული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ნოემბრის №6767812 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.